www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის მაჩვენებლები

2023 წელი

01.03.2024
www.geostat.ge

01.03.2024

საჰაერო ტრანსპორტის ძირითადი მაჩვენებლები

(2023 წელი)

2023 წელს საქართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილია 358.5 ათასი მგზავრი, ხოლო მგზავრთბრუნვის მოცულობამ 875.3 მლნ. მგზავრ-კილომეტრი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 2.0-ჯერ, მგზავრთბრუნვის მოცულობა კი 2.1-ჯერ აღემატება გასული 2022 წლის მაჩვენებელს.

საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა და მგზავრთბრუნვა



2023 წელს საქართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადატანილია 224.2 ათასი ტონა ტვირთი, ხოლო ტვირთბრუნვის მოცულობამ 425.8 მლნ. ტონა-კილომეტრი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში, წინა წელთან შედარებით, შემცირდა როგორც გადატანილი ტვირთის (66.4 პროცენტით), ისე ტვირთბრუნვის (65.6 პროცენტით) მოცულობა.

საჰაერო ტრანსპორტით გადატანილი ტვირთის და ტვირთბრუნვის მოცულობა



2023 წელს საქართველოს აეროპორტები 6 005.7 ათას მგზავრს მოემსახურა[1], რაც 34.8 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს — აეროპორტებმა მიიღო 2 987.4 ათასი მგზავრი (36.0 პროცენტით მეტი), ხოლო აეროპორტებიდან გაემგზავრა 3 018.3 ათასი მგზავრი (33.5 პროცენტით მეტი).

[1]**წყარო:** სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

მგზავრთა ნაკადი საქართველოს აეროპორტებში,
(ათასი კაცი)



2023 წელს საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა ნაკადის 96.2 პროცენტი რეგულარულ ფრენებზე მოდიოდა.

მგზავრთა ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენების კატეგორიის მიხედვით,
(%)



01.03.2024

2023 წელს საქართველოს აეროპორტებიდან განხორციელებული სამგზავრო რეისების რაოდენობამ 25.5 ათასი ერთეული შეადგინა, რაც 28.6 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

სამგზავრო რეისების რაოდენობა
(ათასი)



2023 წელს საქართველოს აეროპორტებში ტვირთისა და ფოსტის ნაკადის მოცულობამ 19.6 ათასი ტონა შეადგინა, საიდანაც 86.7 პროცენტი მიღებული ტვირთი და ფოსტა იყო, ხოლო 13.3 პროცენტი - გაგზავნილი.

ტვირთის და ფოსტის ნაკადი საქართველოს აეროპორტებში,
(ათასი ტონა)



01.03.2024

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ტვირთისა და ფოსტის ნაკადის განაწილებას საქართველოს აეროპორტებში ფრენის კატეგორიების მიხედვით.

ტვირთის და ფოსტის ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენის კატეგორიების მიხედვით,
(%)



2023 წელს საქართველოს აეროპორტებში 1.1 ათასი სატვირთო რეისი განხორციელდა, რაც 32.2 პროცენტით ნაკლებია 2022 წლის მაჩვენებელზე.

2023 წელს საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების რეესტრში რეგისტრირებული იყო 60 ერთეული საჰაერო ხომალდი (11.1 პროცენტით მეტი წინა წელთან შედარებით), რომელთა 80.0 პროცენტს სამგზავრო საჰაერო ხომალდები შეადგენდა, ხოლო 20.0 პროცენტს - სატვირთო. სამგზავრო საჰაერო ხომალდების 79.2 პროცენტს 50-ზე ნაკლებ ადგილიანი ჰქონდა, 6.2 პროცენტს - 51-150 ადგილი, ხოლო 14.6 პროცენტი - 151-დან 250 ადგილიანი იყო.

2023 წლისთვის საქართველოს აეროპორტებს გააჩნდათ 6 ასაფრენი ბილიკი, 56 გამშვები პუნქტი, 25 სამგზავრო გასასვლელი და 1.4 ათასი საპარკინგე ადგილი კერძო ავტომობილებისათვის.

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge